№ 231 ოქტომბრის 26, პარასკევი. 1866—1884 ოქტომბრის 26, პარასკევი. № 231.

„დროების" რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible] განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების" ფასი ნოემბრის 1-დამ წლის დამლევამდე 2 მანათი.

### შინაური ქრონიკა

— სააზნაურო სკოლის კომიტეტი თურმე დიდს გაჭირვებაშია იმის გამო, რომ თავის ხარჯზედ მიღებულის პანსიონერების ნათესავთა თავის დროზედ არ შეაქვთ განწესებული ფული. წარსულს საზოგადო კრებაზედ წაკითხული ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ პანსიონერებზედ დარჩენილი ფული სამას თუმანზედ მეტს შეადგენდა. ეს ვალი თურმე აქამდისინაც გადაუხდელია, თუმცა კომიტეტი გაჯერებულა სიტყვიერი და წერილობითი თხოვნით. ამისთანა უპირობა, ამისთანა ჯიუტური თავის მორიდება ვალის გადახდისა მით უფრო სამწუხაროა, რომ გაზრდილს, შვიდ კლასიანს სკოლას ფული ბლომად ეჭირვება და ხაზინა კი ისეთი სუსტი აქვს, რომ კომიტეტს ფული უთუოდ დააკლდება, ბანკის საზოგადო კრებამდის სკოლას ვერ შეინახავს, თუ მოხსენებული სამასი თუმანი შეტანილი არ იქმნა. ახლა კომიტეტს გადაუწყვეტია მიმართოს მაზრის უფროსებს და სთხოვოს მათ, შინაურად, ზნეობრივ დაეხმაროს ამ საქმეში და ვალდებულს პირთ ჩააგონოს ვალის გადახდის საჭიროება და მიუცილებლობა.

ამაზედ სათაკილო და სამარცხვინო მოქცევა თავის ვალდებულობის შესახებ ძნელადღა იქმნება. სკოლა იღებს შეძლებელ პირების შვილებს და ნათესავებს პანსიონში, ხარჯავს მათზედ ოცდა-ათს თუმანზედ მეტს წელიწადში, მათ ნათესავებს კი სთხოვს ზოგს ოცსა და ზოგს ათს თუმანსა და ეს ფულიც მათ ან სრულიად არ შეაქვთ, და თუ შეაქვთ ბევრი ხვეწნის, თხოვნის და ვაი-ვაგლახის შემდეგ. საკვირველია, რატომ არა ფიქრობენ ეს პირნი, რომ მათი უპირობა გააუქმებს დღეს თუ ხვალ პანსიონსა და ეს იქმნება ძლიერ მავნებელი ჯერ სკოლისათვის, რომელიც მოაკლდება ერთს უმთავრესს ღონისძიებას თავის დანიშნულების მიღწევისათვის და მერმე ამ უპირო ადამიანებისათვის, რადგანაც იგინი იძულებულნი შეიქმნებიან ათი და ოცი თუმნის მაგიერ ორმოცი თუმანი ხარჯონ წელიწადში სხვაგან პანსიონერების შესანახავად.

ჩვენ ჩვენის მხრით ვურჩევთ სააზნაურო სკოლის კომიტეტს, თუ უკანასკნელმა ღონისძიებამაც არ გასჭრა, ჩვენ გამოგვიგზავნოს სია ამ უპირო გაუბატონებისა ჩვენს გაზეთში დასაბეჭდად შესაფერის კომენტარიებით.

— ჩვენ მოვკვარით ყური, რომ ამ გვარსავე მდგომარეობაში ჩავარდნილა დღეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა" ხაზინა. ამ საზოგადოებას ჰყავს 300-მდე წევრი, რომელიც ვალდებულია შეიტანოს ამ ხაზინაში ყოველ წლივ 20 მან., თუ დამფუძნებელ წევრად ირიცხება და 6 მან., თუ ნამდვილ წევრად არის არჩეული, მაგრამ არც 20 მანათები და არც ექვსი მანათები ამ ხაზინაში სასურველის სიუხვით არ შედის თურმე წლითი წლობით; ისე რომ დღეს წევრებისაგან გადაუხდელი ვალი თურმე 12,000 მან., შეადგენს. ე. ი. იმდენსავე, რამდენიც საზოგადოებას დღეს ძლივს მოეძებნება უკვდავ სამუდამო და ხელ-უხლებელ თანხად. მაშ რიღათი უნდა იმოქმედოს, თუ საწევრო ფულიც არ შეუვა მუდამ წელს?

არ იქნებოდა ურიგო, რომ იმათი სიაც, ვისაც ეს საწევრო ფული არ შეუტანია, გაზეთში გამოცხადებულიყო, რომ მკითხველ საზოგადოებას დაენახა, ვინ არიან ისეთი გაჭირვებულნი წევრნი, რომელთაც წელიწადში ექვსი მანათის გადახდა უჭირდება ამისთანა საქვეყნო და სასახელო საქმისათვის, როგორც სკოლებისა და წერა-კითხვის გავრცელებაა საქართველოს ყველა მაზრაში.

დღეს საზოგადოებას ოთხი სკოლა აქვს. მარტო ბათუმის სკოლაზედ, რომელშიაც ამ ჟამად 60-ზე მეტი შეგირდია და მათ შორის ნახევარზე მეტი მაჰმადიანის ქართველების ბავშვები არიან, — საზოგადოებას ეხარჯება 2,000 მანეთამდე. საიდამ უნდა იშოვოს მმართველობამ ამ სავალდებულო ყოველ-წლიური ხარჯის გასასტუმრებელი ფული, თუ ჩვენ, ვინც წევრებად ვირიცხებით, დავიზარებთ საწევრო ფულის შეტანას და ამით მაინც არ დავეხმარებით საქვეყნო საქმეს სწავლა-განათლებისას ჩვენს ღვიძლსავე ქვეყანაში, ჩვენს მკვიდრს მამულში.

— ჩვენ მივიღეთ სამდურავით სავსე წერილი გომის სტანციის უფროსზე, რომელიც ხელს არ უწყობს თურმე მეპატრონეებს საქონლის გატან-გადმოტანის დროს და ხშირად უსამართლოდაც ეპყრობა. ამ ამბავმა მიაღწია ბ. გორჩიჩამდისაო და ეხლა რავი გაჩხრიკეს მისი მოქმედება, მცირეოდნად დატკება ბ. სტან. უფროსი, მაგრამ, ვინ იცის, დიდხანს გასტანს თუ არა მისი სულის სიმშვიდეო.

— დაბა ახალ-სენაკელები უჩივიან გამომძიებლის უყოლობას. ერთი და იგივე კაცი ასრულებს ამ თანამდებობას ფოთისა და სენაკის მაზრაშიო. ამიტომ რასაკვირველია, რაც გინდა საქმის ერთგული და მუყაითი კაცი იყოს გამომძიებელი, ორს ამოდენა მაზრას მაინც ვერ გასწვდებაო და გამოსაძიებელი საქმეების სიმრავლე რომ სამეგრელოშია, იმდენი სხვა ჩვენი ქვეყნის კუთხეში რად იქმნებაო.

— დაბა ორპირიდამ გვწერენ: „ერთობ გაჭირდა ცხოვრება ჩვენს პატარა დაბაში: ყოველივე ეს ეხება, მეფურნის, მიკიტნის და მედუქნის საქმეა. როგორც ჰსურთ ისე ჰყიდიან ყველაფერს: ხორცი ამ შემოდგომაზედ ყველგან შედარებით იაფია, ზოგან 18 კ.

«დროების» ფელეტონი, ოქტ. 26-ს

### ეთნოგრაფიული წერილები

(ფშავ-ხევსურეთი)

#### წერილი პირველი

ამიერ კავკასიის მრისხანე მთების კალთებს, სამხრეთის მხრით, შეჰფარებია პატარა ჯგუფი ხალხი, რომელსაც ფშავ-ხევსურებს უწოდებენ. თუმცა ფშაველი ბევრით გაირჩევა ხევსურისაგან, მაგრამ მათ შორის საერთოც საკმაოა. ერთნაირს ბუნებას, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინსა საზოგადო ბეჭედი ღრმად დაუსვამს ფშავ-ხევსურეთისათვის. მათი ურთიერთობა, ხანგრძლივი კავშირი, მეზობლობა — აი უმთავრესი მიზეზი ამ საზოგადო ხალხოსნურის ბეჭდისა. მათი სამშობლო, შემოზღუდული შეუვალი ტყეებით და მთებით, სწორედ რომ შესანიშნავი კუთხეა. აქ, ამ სამშობლოში ფშავ-ხევსურმა აქამომდე შეუცვლელად დაიცვა თავისი ძველებური, მამა-პაპეული ზნე-ჩვეულება, ცხოვრება, წარსული გარდმოცემა. ამ მხრივ ფშავ-ხევსური უფრო ქართველია (თუ შეიძლება ასე ითქვას), ვიდრე თითონ ქართლელი. ქართლელი სცხოვრობს უფრო აწმყოთი, მომავლით. წარსულს მან თუ ზურგი არ შეაქცია, პირი მაინც აარიდა. სულ სხვა უნდა ითქვას ფშავ-ხევსურზედ. ერთიც და მეორეც სცხოვრობს წარსულით, გარდმოცემით. ქართლელისთვის გარდმოცემამ დიდი ხანია დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, თავისი აღმზრდელი ძალა. ფშავ-ხევსურისათვის კი ეს გარდმოცემა აქამომდე ღვთიური მადლია, რომელიც ასულდგმულებს, აცხოველებს ამ მუჭის ოდენა ხალხს. ქართლში ეს მადლი თუ არ აღმოიფხვრა, შესუსტდა მაინც. იმის ადგილი დაიჭირა ახალმა ცხოვრებამ თავის ახალი ფორმით, გარეგნობით. თუმცა ეს ახალი ცხოვრება ჯერ არ არის გამორკვეული და ძველი ახალს ებრძვის, მაგრამ მაინც ახლობა ცხადად ეტყობა ქართლის ცხოვრებას. რა სახეს მიიღებს ეს ცხოვრება — მომავალი გვიჩვენებს. ეხლა მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ეს სახე არ იქნება ფოტოგრაფიული სურათი წარსულისა, მამა-პაპეულის ცხოვრებისა. ამ სურათს მხოლოდ აქ, ფშავ-ხევსურეთში ჰპოვებთ.

ამ განსხვავებას უეჭველად შენიშნავთ, თუ კი დააკვირდებით აქაური მთიელების ხასიათს, მათს ცხოვრებას. მეორე განსხვავებაც მეტად ღირს-შესანიშნავია. როგორც მოგეხსენებათ, ქართლელი, ევროპულ-წოდებული ბარის კაცი, კარგა ხანია განათლების გზას ადგია, ამ განათლების გარეგნობას იღებს, ითვისებს და თავის ცხოვრებაში შეაქვს. ჯერ მისი განათლება გარეგან ფორმას არ გასცილებია, ჯერ ევროპიული განათლების აზრს ფეხი არ მოუკიდნია ქართლში. ამისათვის იქ შედარებით ცხოვრება თუმცა ბრწყინვალეა, მაგრამ ეს სიბრწყინვალე გარეგანი ელვარებაა და არა შინაგანი ძალა მნათობისა. პიდეც ამიტომ ეს ელვარება ვერ ათბობს ვერც სულს და ვერც გულს, თუმცა კი თვალს ასიამოვნებს. საჭიროა დრო და ჟამი, რომ გარეგანს განათლებას თან მოჰყვეს ნამდვილი აზრი ევროპიულის განათლებისა, რომელიც დაათბობს სულსაც და გულსაც. მთიელის ცხოვრების სახე სულ სხვა ნაირია. არ უნდა დაივიწყოთ, რომ მთიელი ბუნების შვილია და ურწმუნო თვალით უცქერის განათლების გარეგნობას, იმ ბრწყინვალე ცხოვრებას, რომელიც მოკლებულია ნამდვილს აზრს და რომელიც ხშირად უარ-ჰყოფს ბუნების კანონს, მის ჭეშმარიტებას. დიაღ, აქ ვერ იპოვით ქართლის განათლებას, მაგრამ ბევრს კი ისეთს რასმე შეხვდებით, რომელსაც განათლებული ქართლელი შურის თვალით დაუწყებს ცქერას. ბუნება, ეს უდიდესი ქარხანა კაცობრიობისა, აქ სრული მფლობელი და მბძანებელია. ამ ბუნებას მთლად დაუპყრია აქაური მცხოვრებელი. თავის ხასიათით მიმართულებით, მთელის თავის არსებით მთიელი ისეთივე უმანკო ქმნილებაა, როგორც მის გარეშემო მოძრავი ბუნება. მარტივს ბუნებრივს ცხოვრებას თავისი ლაზათი და მიმზიდველობა აქვს. ბაურყვნელი გონება და შეუგინებელი ზნეობა ყოველთვის პატივს სცემს ბუნების შვილს. მოგეხსენებათ, რომ ყალბმა

ოვა (სამი გირვანქა), ზოგან 21 კ.; აქ კი 25, 30 და 35 კ. პურს აცხობენ ცუდს და ცუდად. გირვანქა შაური, მაგრამ ხშირად გირვანქის მაგიერად ქვის ნატეხს ხედავ სასწორზე, ნახევარ-ჯერ ცომი გამოჭყავთ. ღვინო, მყავე მაწვარი, ბოთლი აბაზი და სამი შაური, როდესაც ეხლა ზევრგან შეგიძლიან იშოვნოთ შვიდ კაპეიკად. ნავთი შაური და ექვსი კაპეიკია გირვ. და თუ წყალს გაარჩევინებ, რაიცა აქ ხშირად სდება ხოლმე, ოთხი ან სამი კაპეიკი. დამპალი ფარგა და ტარანი (თევზი), ვისაც უნდა აჭამად იშოვნის... ეს კი გვაქვს საკმაოდ. ვინაა პატრონი—ყოველი ამ უწესოებას ყური ათხოვოს!

,,ტობანიერის საზოგადოებამ, რომლის სკოლაზედ ორიოდე სიტყვა იყო ამას წინად ,,დროებაში'', გადასწყვიტა ახალი, სკოლისათვის შესაფერი, სახლის აშენება. ტობანიერის სკოლას მასწავლებელიც ახალი დაუნიშნეს: ხონის სემინარიაში ახლად კურს შესრულებული ს. ც., რომელიც წინედ სოფლელებს არ მიეღოთ სიამოვნებით, რადგანაც შერჩეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსაო; მაგრამ ახლა, როგორც ისმის, სოფელი კმაყოფილია და შაგირდებიც წინანდელზე მომეტებული ჰყავს. რაც შეეხება მუხაურის და აბაშის საზოგადოებას, იმათ კი სკოლის თაობაზე ვერაფერი გადასწყვიტეს-რა ჯერ-ჯერობით.

— გაზ. ,,კავკაზში'' მოკლედ არის მოყვანილი შინაარსი კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველის წლიური ანგარიშისა 1883 წლისა. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ კავკასიაში 1884 წლის იანვრის 1-ს, რიცხვი სკოლებისა, ებრაელთა და მაჰმადიანთა სასწავლებელთ გარდა, ყოფილა 1221, ანუ 53 მეტი წარსულ წლისაზე. მოსწავლეთა რიცხვი 75,197 ქალი და ვაჟი. შარშანდელზე მეტი 4359-ით. მოსწავლეთა შორის რუსები ყოფილან 35,127, სომხები — 21,774, ქართველები — 15,105 ევროპიელნი — 4489, მთიელნი და ოსმალონი — 2077, თათრები — 1839 და ებრაელნი 783.

— ქ. ალექსანდროპოლში ამ ცოტა ხანში ხუთჯერ გაჩენილა ცეცხლი. ქალაქს აქამომდე საქრობი მაშინები არა აქვს თურმე, ისე რომ სულ უბრალო მიზეზით გაჩენილი ცეცხლი დიდს ზარალს აძლევს ხოლმე ქალაქსაო. ქალაქს ამ აუცილებელი საჭიროებისათვის დაუშურებია ფული და საქალაქო ბაღისთვის კი და მერე ისეთის ბაღისთვის რომელიც სრულიად ბაღს არა ჰგავს, 10,000 მან. დაუხარჯავს (გაზ. ,,კავკაზი.'').

— ფოსტისა და ტელეგრაფის უმაღლესმა გამგეობამ ამ დღეებში დაუგზავნა ცირკულიარი ყველა ფოსტის დაწესებულებათა იმაზედ რომ ტამოჟნის მხრით საეჭვო პაკეტები და დაბეჭდილი წერილები, საზღვარ-გარეთიდამ მიღებულნი, დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ტამოჟნაში გასახსნელად და, თუ აღმოჩნდეს მათში რამ საბაჟო ნივთი, აღარ დაუბრუნდეს პატრონს, გაიყიდოს და წერილები ტამოჟნის ბეჭედ დასმული დაუბრუნდეს ისევ ფოსტას. სანამ ტამოჟნა გახსნიდეს ამ გვარს კორესპონდენციებს, მანამ ადრესატს არავითარი ცნობა არ უნდა მიუვიდეს, რომ მისს სახელზე მიღებულია რამ კორრესპონდენცია, როგორც ხშირად სჩადიოდენ აქამდის ზოგიერთა ფოსტის დაწესებულებანი იმ ქალაქებისა, სადაც ტამოჟნა არის. ამ უკანასკნელმა გარემოებამ გამოიწვია ეხლა ეს განკარგულება უმაღლესის გამგეობისაო. (,,Юрид. Обозр.'').

## „დროების" კორესპონდენცია

ს. ანაგა, სიღნაღის მაზრა. სოფელმა რომ მამასახლისი ინატროს, სწორედ ჩვენი მამასახლისისთანა! საცოდავს მთელი დღე და ღამე მოსვენება არა აქვს, იმისი თვალი ერთს წუთს არ მოიხუჭება — იმოდენა საქმეები აქვს! მართლაც აბა როგორ მოისვენებს: დილით ადრე ადგება (თუ ღამე ეძინა), გავა სასოფლოზედ, შევა დუქანში, აქ საუზმეს გიახლებათ, ზედ დააყოლებს ,,ოტკას'', თუ ნუნუა შეხვდა, ზოგჯერ იმასაც არ დაიწუნებს; გამოვა მერე დუქნიდამ, გაიხედ-გამოიხედავს, გადაიყრის კაბის სახლებს მხრებზედ, გადისვ-გადაისვამს ულვაშებზედ ხელს, მედიდურად გაივლის და თუ ვინმე გლეხი დაინახა, მაღალის ხმით დაუძახებს: ''ეი, ბიჭო! აქ მოეთრიე! ბასწი ეხლავ, სადაც იყოს, ცხენისათვის კაი მწვანე ბალახი მიშოვნე და სალამოსთვის შინ მომიტა!'' გამოივლის ახლა მეორე გლეხი, ამასაც მიიხმობს: ,,შენ, ბაღჩაში კიტრს გიქებენ, სადილისთვის ერთი ორმოციოდე წამომიღე;'' გამოივლის მესამე, ამასაც დაასაქმებს: ,,შენ დღეს ჩაირბინე ალაზანზე (ალაზანი 8 ვერსტის სიშორეზეა) და ჩემ მაგიერ უთხარ თევდორეს, კაი ახალი თევზი გამომიგზავნოს.''

შემდეგ ამ გვარი ბრძანებლობისა მათრახის-ქნევით (მათრახი განუშორებლივ ხელში უჭირავს) გაისეირნებს ახლა მეორე დუქნისაკენ. აქ უეჭველად მოახელებს კიდევ გლეხებს, ერთს ან ორს ვისმეს იმათგანს რაიმე შარს გამოუდებს და შეუბრალებლად მიაყოლებს კიდეც მათრახს; კარგად მიქექავს და მერე უბრძანებს თავის განუყრელ მხლებლებს, გზირებს: ,,დაიჭით, შეკარით ეს ასეთ-ისეთი და ჩააგდეთ გომში!''

თითქმის ისეთი დღე არ გავა, რომ ამ გვარი შეურაცხყოფა რომელსამე გლეხს არ მიაყენოს ან სრულიად უმიზეზოდ ან კიდე ტყუილ-უბრალო საქმეზედ.

ასე მათრახით სცემა ამ მოკლე ხანში ერთს ახალ-გაზრდა თავ-მომწონე გლეხს. მერე რაზედ? აი რაზედ. ამას წინად სიღნაღიდამ ერთს ანაგელ გლეხს სტუმრად ორი ,,ჩინოვნიკი'' ეწვია, (უნდა კი მოგახსენოთ რომ აქ, კურთხეულ ანაგაში, სიღნაღზედ სიახლოვის გამო ძლიერ ხშირად იციან ,,ჩინოვნიკებმა'' სტუმრობა). ზემოხსენებულმა ჩინოვნიკებმა ამ დღეს, რასაკვირველია, დიდად ისიამოვნეს, ჩვეულებისამებრ, და მერე შემოდგომის პატივისცემით დიდებულ ბახუსსაც ჯეროვანი თაყვანი სცეს და მერე, სალამოს ხანზედ, მოისურვეს სიღნაღისაკენ დაბრუნება. შეატყობინეს მამასახლისს, უბრძანეს დანიშნული დროსათვის ,,კაი'' (ავი არ შეიძლებოდა) ცხენები მოერთმევინა.

მამასახლისი თავის გამჭრიახის გონებით მაშინვე მიხვდა, რომ კაი ცხენი ჰყავს ზემოხსენებულს გლეხს სოფრონ ახმეტელაშვილს. გაექანა იმისაკენ და უბრძანა, ამ საათს შენი ცხენი აქ მომგვარე, ბეგარა არისო.

ახმეტელაშვილი, რასაკვირველია, უარზედ შესდგა იმ საფუძვლისა გამო, რომ უიმისოთაც საზოგადოდ ანაგულები და მათ შორის მეც ბევრს საბეგროს ვიხდითო და ამ შემთხვევაში სრულიად მოვალედ არა ვრაცხ

---

განათლებულმა ცხოვრებამ გამოიწვია პროტესტი და ბევრნი საუკეთესო წარმომადგენელნი კაცობრიობისა თაყვანისცემით იხსენიებენ იმ დროს, როცა კაცი ბუნებრივად სცხოვრობდა... იქნება ბევრში სცდებოდენ ეს ბუნების მადიდებელნი, მაგრამ მათს შეცდომაში ნახევარს ჭეშმარიტებას მაინც იპოვით.

მგონითვე მოგეხსენებათ, რა გვარის სითამამით უარ-ჰყო წარსულ საუკუნეში ყალბი განათლება ერთმა საკვირველმა გენიოსმა, რომელსაც ბუნების მოციქულს უწოდებენ. ყველაფერი კარგია, რაც ღმერთმა შექმნა და ყველაფერი კაცის ხელით ფუჭდებაო, სთქვა ამ დაუვიწყარმა ბუნების მოციქულმა. მაშ საქმე მარტო განათლება არ ყოფილა, „კაცის ხელსაც" ბევრი არა შესძლებია-რა, ბუნებაც თავისი კანონით დიდი საუნჯე ყოფილა კაცობრიობისათვის. და თუ ეს ასეა, მთიელს, ამ ბუნების შვილს, სრული უფლება აქვს თავის მოძმეს, განათლების შვილს, დაუთმოს მისი განათლება. უთმობს კიდეც და, ვგონებ, არც დიდ ზარალშია. ზარალში იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ბუნება და განათლებული ცხოვრება, ღვთის ქმნილება და კაცთა ხელის ქმნილება ერთი-ერთმანეთს არ დაშორდებოდენ, ჰარმონიულად შეერთებულნი და შეკავშირებულნი იქნებოდენ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ყოველისავე ამას მთიელი ჯერ ვერა ჰხედავს და დიდხანს ვერც დაინახავს. მოაშორეთ განათლებას სიყალბე, დაამყარეთ იგი ბუნების კანონზედ და მაშინ დაიპყრობთ, მიიზიდავთ აქაურს ბუნების შვილს. თორემ ეხლა ეს ბუნების შვილი დაცინვით გიხსენიებთ — „შე ყვითელო ბარის კაცოვო!" და პირს გარიდებთ. მას თავისი სალი კლდეები და მთა ურჩევნია თქვენს ბარს, რადგანაც ამ კლდეებში და მთაში ის თავისთვის არის, თავისუფლად, მოშორებული ყალბს გარეგანს განათლებას, რომელმაც მუხრი გააელო ძველებურს მარტივს, ბუნებრივს ცხოვრებას და რომელსაც თან მოჰყვა არა მცირედი უსიამოვნება, შეუფერებლობა.

ასე გასინჯეთ, თავისი ტანისამოსით ვაკედ, «ბარად» ჩამოსვლაც კი ეთაკილება ეხლანდელს ხევსურს. ბარის კაცი დასცინის მის „კერპულს" ტანსაცმელს და ხევსური იძულებულია თავისი ფერად-ფერადად აჭრელებული ჩოხა გადააბრუნოს და ისე ჩაიცვას. მის ჩვეულებას დასცინიან და დასცინიან განათლების ძალით, უფლებით!.. მოგეხსენებათ, რომ ბარის ქართველი ნელნელა სტოვებს თავის მამა-პაპურს საცმელს და „მოდას" მისდევს.

ზოგიერთა ალაგას, სადაც „მოდამ" ფესვი გაიდგა, სხვაგნებურმა ტანთსაცმელმა სრულიად განსდევნა ჩვენებური. ეს უფრო ბარის ქალებზედ უნდა ითქვას. იქ ევროპიული ტანისამოსი იჭერს პირველს ადგილს და შორს არ არის ის დრო, როდესაც «მოდა» სრულებით მოსპობს ჩვენის ტანთ-საცმელის თავისებურობას. მთის ხალხი კი სულ სხვაა. აქ ,,კერპული'' ტანისამოსი ისეთსავე პატივის-ცემაშია, როგორც ყოველისფერი ძველებური, თავისებური. მაგრამ იქნება, თქვენ გგონიათ, რომ ეს უბრალო ფაქტი არაფერს ნიშნავს, ყურადღების ღირსი არ არის. რანაირად სცდებით!.. ეს, თქვენის აზრით, უბრალო ფაქტი აშკარად ამტკიცებს, რომ მთიელს თავისებური ტანისამოსიც კი დიდ რამედ მიაჩნია და, ამითი გიჩვენებთ, რომ გარეგნობის უარის-ყოფას თან მოსდევს სხვა ღრმა ცვლილება, რომელიც ხალხს სულ სხვა ფერს დასდებს. დააკვირდით ისტორიას, ცხოვრებას და დაინახავთ, რომ ცვლილება ხალხის ცხოვრებაში გარეგნობის მიღებით დაწყებულა და თუ აწინდელი მთიელი ასე თავ-გამოდებით ეწინააღმდეგება ,,მოდას'' და პატივსა სცემს თავის ,,კერპულს'' ტანისამოსს, უყვარს თავისი შემკულობა, ეს ამტკიცებს, რომ აქ უბრალო ხალხოსნურს ჩვეულებასაც კი დიდი პატივი აქვს, აქ ჩვეულება წმინდა კანონია, ,,დაწერილი გონებაა'', რომელიც ინახავს ხალხის თავისებურობას. ,,ყვითელი ბარის კაცი'' კი მეტად ადვილად სტოვებს თავის ჩვეულებას, თუმცა კი ჯერ-ჯერობით უფრო ისეთს, რომელსაც გარეგანი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში. კიდეც ამიტომ ასე ფეხი გაიდგა ქართლში გარეგანმა განათლებამ, რომელიც მიმზიდველია თავისი ბრწყინვალე ფორმით და რომელიც ასუსტებს, აფუტუროებს ცხოვრების თავისებურობას. რამდენი ჩვეულება გაჰქრა სამუდამოდ და თან წაიღო ნიშანი ჩვენის ვინაობისა!.. მაგრამ იქნება გეგონოთ, რომ ჩვენ გვსურს ყველა ჩვეულების დაცვა. არა ჩვეულებასაც თავისი აზრი და მნიშვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემ თავს, რომ ცხენი დაგანებოვო.

მამასახლისმა მის საფუძველიანობას სრულიადაც არ შეხედა: მან დაუწყო გლეხს მათრახით ცემა, — როგორ თუ მე უარი გამიბედეო.

ჩვენ მამასახლისად გახლავთ საბა ალხანაშვილი. ეს ალხანაშვილი, მთელმა სოფელმა იცის, რომ ჭკუაზედ ცოტა სუსტია; იცის აგრეთვე, რომ იგი მამასახლისადვე ამ ათი-თორმეტის წლის წინადაც იყო და იმ მამასახლისობის დროს თავისი პატიოსნური ყოფა-ქცევისათვის ჩავარდა სამსჯავროს ხელში, რომელმაც საუკუნოდ ციმბირი გადაუწყვიტა.

დღესაც ეს ვაჟბატონი უნდა ციმბირში ბძანებულიყო, თუ რომ მოულოდნელად უმაღლესის მანიფესტის ძალით არ ეპატიებინათ.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, მკითხველო ისეთი პირი, რომელსაც უსამართლობის გულისათვის ციმბირში ცხოვრება გადაუწყვიტეს, დღეს სუფევს თავის სამშობლოში სიმართლის მოსაფენად!!

თქვენ მკითხავთ: როგორღა ამოირჩიეს ესეთი კაცი მამასახლისათაო? —სწორე გითხრათ, მეც მიკვირს. მიკვირს უფრო იმიტომ, რომ თურმე აქაური მაზრის უფროსი ძლიერ არა სწყალობს. მაგრამ დღეში ოთხჯერ-ხუთჯერ შემოუვლიდა თურმე მთელს სოფელს და ყოველ ცრუ-მავნეს რაიმე ქრთამს ჰპირდებოდა, ოღონდ ჩემი მომხრენი იყავითო: ზოგს არაყს ასმევდა, ზოგს ღვინოს, ზოგს ერთ ნაპარსს მატყლს აჩუქებდა და ზოგს, ვინ იცის, რას.

ამ გვარად ყველა თავისავით სულელი გლეხი მართლაც მიიმხრო და საქმე მოიგო. მე ვამბობ ,,სულელი გლეხი'' მიიმხრო მეთქი, იმიტომ, რომ ჭკვიანები იმას ყველანი კარგად იცნობდნენ და არც ერთ სტაქან არაყზედ მოტყუვდებოდნენ, და რადგანაც, როგორც მოგეხსენებათ, ყველგან ჭკვიანები უფრო ნაკლებად არიან, ამიტომ საბა ალხანაშვილს ამორჩევის დროს თეთრი კენჭი გაცილებით მეტი შეხვდა, ვიდრე შავი.

ვისაც კრილოვის იგავ-არაკნი წაუკითხავს, მაშინათვე იმას ერთი არაკი მოაგონდება, სახელად ,,წერო და ბაყაყები.''

ანაგელ ზოგიერთა გლეხებსაც ბაყაყებსავით მოუვიდათ. ჯერ გულითა სწადდათ ალხანაშვილის მამასახლისობა და დღეს გულითავე ჰსურთ მისი გადამამასახლისობა.

საკვირველი ის არის რომ, როდესაც ალხანაშვილი თითქმის მთელ თავის ცხოვრებას არა ზოგავდა მამასახლისობის მისაღებად, იმავე დროს და წინადაც იმისი წინა-მოადგილე ივანე მირიანაშვილი თხოვნას აძლევდა მაზრის უფროსს—მამასახლისობა არ მინდა, შენი ჭირიმე, მალე გამანთავისუფლე ამ უგემურის სამსახურიდამაო.

როდესაც ერთი თავს იკლავს ამ ადგილისათვის, მეორე იმავე ჟამს უარ ჰყოფს.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, თუ რა გვარი განძრახვა აქალადებდა ალხანაშვილს როცა სოფელს მამასახლისად არჩევინებდა თავს.

ანაგელი.

---

**დ. ყვირილა**, ოქტომბრის 17. ამ ორს თვეში კაცის კვლას, ჩეხა გლეჯას, სახლების დაწვას და ოჯახების გაქურდვას აღარა აქვს საზღვარი. ორ კვირას ისე ვერ გაატარებთ, რომ რაიმე შემაძრწუნებელი ამბავი არ გაიგონოთ. ჩემი სიტყვების დასამტკიცებლად მოვიყვან აქ მხოლოდ რამდენსამე ფაქტს. დ. ყვირილიდგან სამისა თუ ოთხის ვერსის სიშორეზე არის ს. ქვედეთი, სადაც ამას წინედ 17 წლის ყმაწვილი კაცი ქავთარაძე ოთხ-ფეხ ცხოველივით დაკლეს. ქავთარაძე იყო მამის ერთა. მამის სიკვდილის შემდეგ დარჩა მას ორი და. მამული ჰქონდა მშვენიერი. დებმა, ჯერ მამის დროსაც არა მტკიცე ხასიათებისამ, დაიწყეს თავისუფლად ცხოვრება. ეს გარემოება სიცოცხლეს უწამლავდა ძმას, არიგებდა დებს, მაგრამ ეტყობა მისი დარიგება და ქადაგებანი უნაყოფოდ რჩებოდენ. ეს კიდევ არაფერი, რომ ახლა სამწუხარო შედეგი არ მოჰყოლოდა დათა ამ გვარს ცხოვრებას.

ერთს მშვენიერის შემოდგომის ღამეს, როდესაც სამთავეს ერთს სახლში ეძინათ ტკბილად, მოვიდნენ ვილაც ბარბაროსები და მძინარეს ძმას გამოსჭრეს ყელი. ქალები პერანგის ამარიდ გამოცვივნდნენ და მეზობლებს შეატყობინეს ძმის სიკვდილი. გამოძიება არაფერს ეკითხება ამ ორს ქალს, მაგრამ ნუ თუ ამ ქალებმა არც სახე შენიშნეს მკვლელებისა, არც ტანისამოსი, ან ერთი და ან მეორე. ნუ თუ ერთ ტახტზე მწოლარეთაგან მარტო ძმა მოჰკლეს და დები კი გაანთავისუფლეს? საზოგადოება კი სხვას ამბობს, ხალხი ეხლა სხვა გვარად ჰფიქრობს. მოჰკიდონ ხელი ამ დებს და მაშინ ენახავთ, გამოჩნდებიან დამნაშავენი თუ არა?!.

არ გაუთავებია ამის გამოძიება გამომძიებელს, რომ მეორე უფრო საზარელი შემთხვევა მოხდა ს. საქარას. ადგილობრივ აზნაურს ნ. ლეჟავას დაეცენ თავზე ნავახშმევს, როდესაც თავს იბანდა [illegible]ლები და პირის სახე მთლად გათხუპნული ჰქონდა. ცოლი თურმე თავს ადგა და წყალს უსხამდა. უცებ შემოცვივნდნენ ავაზაკები და ჩვენებური სასხლევით მოსჭრეს კისერი. შემდეგ მისივე ხანჯლით ეზოში მოჰკლეს ცოლი, რომელიც გაიქცა და თავის შველას აპირებდა. ამ გვარი ტრაგიკული შემთხვევა, რასაკვირველია, პოლიციას და გამომძიებელს აცნობეს; ისინიც მოვიდნენ სიჩქარით და მეზობელი აზნაურნი ქ—ლები და შე—ლები დაიჭირეს. მალე საქმეს თავი დაანება გამომძიებელმა და მის მაგიერ აქაურმა მომრიგებელმა მსაჯულმა ბ. არსენიევმა იტვირთა ამ საქმის გამოკვლევა და კიდევაც აღმოაჩინა მკვლელები. ამ საქმის გათავებით ბ. არსენიევი დიდს პატივის ცემას დაიმსახურებს შორაპნის საზოგადოებისაგან. ამბობენ, რომ იგი კარგი გამომძიებელიაო. ბ. არსენიევმა შ— ები და შ—ლები მაშინვე გაანთავისუფლა სატუსაღოდამ და მათ მაგიერ დაატუსაღა ძმები მკვდრისა და— სათქმელადაც კი მიმძიმს— დედა! ღვიძლ დედას, რომელსაც ცხრა თვე მუცლით უტარებია და შემდეგ თავის ძუძუთი აღუზრდია თავისი შვილი, დღეს მის მკვლელობაში მონაწილეობის მიღებას აბრალებს მართლ-მსაჯულება. გასაკვირველია, ჭეშმარიტად, ამ გვარი გულ-ქვაობა.

ამბობენ, შვილსა და დედას მუდამ დღე ერთმანეთში უსიამოვნება და ცემა-ტყება ჰქონდათო, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამ გვარი საქციელი სამუდამო სირცხვილად უნდა მიგვაჩნდეს.

თანხანიშვილი.

---

ლობა აქვს. და თუ იგი ხალხის ვინაობის გამომხატველია და ამასთანავე ზნეობითს კანონს არ ეწინააღმდეგება, მისი დაცვა ყოვლად საჭიროა. სხვათა შორის, სწორედ ასეთი ჩვეულება აძლევს ხალხს განსაკუთრებითს ფერს, პიროვნულს ხასიათს. როგორც ყველა ცალკე პირისათვის საჭიროა მისი პიროვნული თავისებურება, ვინაობა, ისე ხალხისათვის საჭიროა გონივრული ხალხოსნური ჩვეულება. სადაც ასე არ არის, იქ არც ცხოვრებაა, იქ არც პროგრესია შესაძლო.

მაგრამ ნუ იფიქრებთ, ვითომც ფშავ-ხევსური მარტო თავის გარეგნობას იცავდეს. როგორც ზემოდ შევნიშნეთ, ჩვეულებას აქ ღრმად ძირი გაუდგამს მთელს ცხოვრებაში. ხალხის აზრით, მისი საზოგადო შეხედულობა მხოლოდ ამ ჩვეულებით მოძრაობს, მოქმედობს. თვით კანონიც აქ ჩვეულებაა და სხვა არაფერი. ეგრედ წოდებული სჯული, აქაურის მთიელის აზრით, იმიტომ არის სჯული, რომ ჩვეულებას წარმოადგენს, ცხოვრებას ეთანხმება. საქმის გათავება «სჯულისამებრ» — აი დასაწყისი და დასასრული ყოველ გვარის ურთი-ერთობისა ფშავ-ხევსურეთში. ამას ადვილად შენიშნავთ, მეტადრე სასამართლოში. ერთი ვილაცა უჩიოდა ხევსურს მომრიგებელ სასამართლოში დაჭრილობაზედ. ხევსურს სჯულისამებრ სისხლში მიეცა რამდენიმე თავი საქონელი და წარმოიდგინეთ ხევსურის რისხვა და კრიჭლვა, როდესაც მან მიჰყო ხელი და დაუწყო საყვედური მოწინააღმდეგეს სჯულის უარის-ყოფისათვის. რას ვამბობთ — ეს საყვედური კი არ იყო, ეს მთელი ბრალდებულებითა ოქმი იყო!.. შენ რა კაცობა უნდა ვეთხოვებოდეს, როდესაც სჯული არა გწამს და აქ მიჩივიო, ამბობდა მრისხანედ მართლა რომ კერპად დამცველი მამა-პაპურის სჯულისა. მაგრამ კანონმა სძლია ხევსურის სჯულს.. დამნაშავეს ორი კვირა საპატიმროში ჩაჯდომა ,,დააკისრეს''; საქონელიც მოჩივარს დარჩა. ხევსური გაშტერებული ბუტბუტით გამოვიდა სასამართლოდამ...

ძალა-უნებურად თქვენ თვალ წინ წარმოგიდგებათ ერთი საუკეთესო თვისება აქაურის მთიელისა. ეს თვისება ის არის, რომ აქ კაცი უფრო მეტად იცავს თავის პიროვნულს ღირსებას, თავის თავისუფლებას, ვიდრე ბარში. ბარის გლეხი, როგორც მოგეხსენებათ, ბეჩავია, დაჩაგრული, დამფრთხალი; მან თუ ჯერ კიდევ ხელი არ აიღო თავის პიროვნულს ღირსებაზედ, მალე მაინც აიღებს, თუ როგორმე თავის თავს ან აქედამ არ უშველა, ან იქიდამ. მანდ, ვაკე ქართლში, გლეხი ყველას წინ კისერს იხრის, თუ მეტადრე იმის მოპირდაპირეს რაიმე ძალა და უფლება აქვს. აქაურს მთიელზედ სულ სხვა უნდა ითქვას. აქაური თავისუფალი ბუნების შვილი ამპარტავანია, თავის თავის ყადრი იცის. ყველასთან და ყველგან თავისუფლად უჭირავს თავი, თავისუფლად იქცევა, თითქო ყველანი ერთნი იყვნენ. ამის ზნეობითი სახე ჯერ არ შეცვლილა, ჯერ არ დალმანჭულა. მთიელს ვერ შეაშინებს ვერც ძალა და ვერც უფლება, იგი კაცად გრძნობს თავის თავს და კაცურადაც გექცევა. ყოველს მის მოქმედებაში, ყოველს ნაბიჯში იხატება კეთილშობილური ამპარტავნება, თავისუფლება. მას ჯერ არ მიჰკარებია ,,ცხოვრების სიბრძნის'' ლაქა, მან არ იცის ის ზრდილობა, რომელიც ხშირად პიროვნულ თავისუფლებას სთრგუნავს.

იქნება თქვენ ჰფიქრობთ, რომ ნაჩვენები თვისება აქაურის მთიელისა წარმოსდგება იმის ველურის ხასიათისაგან, გაუნათლებლობისაგან; ვინ იცის!.. მაგრამ ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ ეს თვისება მეტად დიდი საუნჯეა, რადგანაც მით კაცს შეუძლიან დაიცვას — პიროვნული თავისებურება... ეს პიროვნული თავისებურება, როგორც მოგეხსენებათ, უძვირფასესი განძია კაცისათვის და საუკეთესო ნაწილი საზოგადოებისა მის დასაცველად და ასაღორძინებლად იღვწის... მაშ ნუ ვუკიჟინებთ მთიელს ამ ველურს ხასიათს....

როგორც ჰხედავთ, ფშავ-ხევსურეთი დიალ შესანიშნავი და საყურადღებო მხარეა. სამწუხაროდ, ჯერ ამ მხარეს თავისი ა. მოჩხუბარიძე არ დაჰბადებია და მალე ვერც დაებადება. ჩვენ ჩვენის სუსტის კალმით ვეცდებით გავაცნოთ მკითხველებს ეს შესანიშნავი მხარე, რამოდენადაც შესაძლო იქნება, რამოდენადაც ნებას მოგვცემენ.

ნ. ურბნელი.

ს. თიანეთი.
ოქტომბრის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

უფასოდ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 ასსათამდინ. საზებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში უფასოდ ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— —1 გირ. 5 კ.

აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. $2^1/_2$

მეორისა— — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 გ. | $2^1/_2$ |

ჯვარის-მამი პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 გ. | 3 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 7 კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 7 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | — კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | — კ. |

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად ამ ოქტომბრის 5-დგან შემოღებული იქნება მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამ-ღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და [illegible]ათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება საქართველო-იმერეთის უუწმინდესის და უმართებულესის კანტორის სამწერლოში და სამღვთო წიგნთა საწყობში, რომელიც სიონის ტაძართან არის გამართული და რომელსაც განაგებს მღვდელი გრიგოლ პეტრიაშვილი, ქართული დაბადების მეორე ნაწილი. ფასი ორთავე ნაწილისა, როგორც, გამოცხადებული იყო გაზ. «დროებაში» 6 მანეთი. (1—1)

### წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობისაგან.

**«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა.»** უმორჩილესად სთხოვს პატივცემულ წევრთ, როგორც დამფუძნებელთ, ისე ნამდვილთ, წარმოგზავნონ თავიანთი ხვედრი საწევრო ფული ამა 1884 წლისა, პირველთ ოც-ოცი მანათი, ხოლო მეორეთ—ექვს-ექვსი, შემდეგის ადრესით:

ТИФЛИСЪ. Казначею Общества Распространенія Грамотности среди грузинскаго населенія Георгію Давидовичу Картвелову (Михаиловская улица, собст. домъ). (10—10)


გამოვიდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიებში
ახალი წიგნი
არითმეტიკა
სახელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის, შედგენილი მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანისაგან.
ფასი 80 კ. გაგზავნით 1 მან.
(10—5)


## ანგარიში.

სეჯუნის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა 1884-ის წლის 1-ის იანვრიდამ 1-ს ოქტომბრამდე, რჩევისაგან შემოწმებული.

1-ს იანვარს 1884-ს წელსა იყო:

| | მან. | კაპ. | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილადი ფული. . . . | 1086 | — „ | გასესხებული . . . . | 1140 | — „ |
| შესანახავად შემოტანილი | 15 | — „ | ზიანი . . . . . | „ | — „ |
| სათადარიგო თანხა . . | 6 | —57 | ნაღდი ფულად . . . | 26 | —70 |
| წმინდა მოგება . . . | 59 | —13 | | | |
| სულ. . | 1166 | —70 | სულ. . | 1166 | —70 |

1-ი იანვრიდამ ამა 1884-ის წლისა 1-ს ოქტომბრამდე არის:

| შემოსავალი: | მან. | კაპ. | გასავალი: | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილადი ფული . . . | 1493 | — „ | გასესხებული . . . . | 4593 | — „ |
| სარგებელი, დაჭერილი გასესხების დროს. . . | 293 | —53 | სარგებელი ვადაზე წინ გადახდილის ნასესხისა . | 5 | —70 |
| დაბრუნებული ნასესხი . | 2800 | — „ | შესანახავად შემოტანილი | 15 | — „ |
| შესანახავად შემოტანილი . . . . . . | 40 | — „ | სარგებელი შესანახავად შემოტანილის ფულებისა . . . . . . . | 1 | —50 |
| სხვა-და-სხვა შემოსავალი. | 3 | —17 | სამართველოს ხარჯი. . | 36 | —50 |
| | | | კომიტეტის სასარგებლოდ | 2 | — „ |
| სულ. . | 4629 | —70 | სულ. . | 4643 | —70 |

1-ს ოქტომბერს 1884-ის წლისა არის:

| | მან. | კაპ. | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული. . . . | 2579 | — „ | გასესხებული . . . . | 2935 | — „ |
| შესანახავად შემოტანილი | 40 | — „ | ზიანი . . . . . | „ | — „ |
| სათადარიგო თანხა . . | 6 | —57 | დარჩა ხელად. . . . | 2 | —70 |
| წმინდა მოგება . . . | 309 | — 3 | | | |
| სულ. . | 2935 | —70 | სულ. . | 2935 | —70 |

გამგეობის წევრნი: ბლაღ. მღვ. სიმონ ელიავა. აზ. რომანოზ ნოდია. გიორგი მელაძე.

რჩევის წევრნი: მღვ. ი. ნოდია. პრ. ბ. კუცია. ბ. ლუხავა. თ. სანაძე. ბ. ხოშტარია. ს. უზნაძეიშვილი


სამგვარი სიყვარული
მოთხრობა
აკაკი წერეთლისა
(„დროების“ რედაქციის გამოცემა)
ფასი 30 კაპ.
(ვინც ოც ეგზემპლარზედ მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაუთმობა.)
წიგნი ისყიდება თბილისში კრიჭუროვის წიგნის მაღაზიაში, ჩაკერდოვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. ქუთაისში ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათაძესთან, თელავში, საზოგადოების დეპოში. ერთბაშად ყიდვა შეიძლება აგრეთვე «დროების» რედაქციაშიაც. (10—2)



ინგლისის მაღაზიაში
თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი
ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს; ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—78)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სხოტკები თავის ტკივილის ასასხობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.



არწრუნისეულ ქარვასლაში
სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და სახელოსნოებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—23)


Доз. ценз. Тифлисъ, 25 Октября 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი